საქართველო
GEORGIA

გარემოს დაცვისა და
სოფლის მეურნეობის
სამინისტრო

MINISTRY OF ENVIRONMENTAL
PROTECTION AND AGRICULTURE
OF GEORGIA

N 9162/01
30/08/2021

9162-01-2-202108301030

სსიპ წიაღის ეროვნულ სააგენტოს

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრომ განიხილა თქვენი 2021 წლის 16 ივლისის N12586 სკრინინგის განცხადება, რომელიც ეხება ონის მუნიციპალიტეტში, სოფ. ცხმორის მიმდებარე ტერიტორიაზე 1 895 000 $м^3$ ბარიტის (სასარგებლო წიაღისეულის) მოპოვებას.

გაცნობებთ, რომ „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ II დანართის 2.2. ქვეპუნქტის თანახმად, სასარგებლო წიაღისეულის მიწისქვეშა მოპოვება (მათ შორის, მიწისქვეშა მტკნარი წყლის სამეწარმეო მიზნით მოპოვება), როდესაც მოსაპოვებელი რესურსის მოცულობა წელიწადში 100 000 $м^3$-ზე მეტია (გარდა ნავთობისა და ბუნებრივი აირის მოპოვებისა ან მიწისქვეშა წყლის პირადი მოხმარების მიზნით გამოყენებისა) ექვემდებარება სკრინინგის პროცედურას. სკრინინგის განცხადების თანახმად, ონის მუნიციპალიტეტში, სოფ. ცხმორის მიმდებარე ტერიტორიაზე დაგეგმილია 1 895 000 $м^3$ ბარიტის მოპოვება, თუმცა განცხადება და გეოსაინფორმაციო პაკეტი არ მოიცავს ინფორმაციას ლიცენზიანტის მიერ სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ხანგრძლივობის, მათ შორის წელიწადში მოპოვებული ბარიტის რაოდენობის (მოცულობის) შესახებ. შესაბამისად, აღნიშნული საჭიროებს დაზუსტებას.

სამინისტრო სკრინინგის გადაწყვეტილების მიღების მიზნით იმსჯელებს ზემოაღნიშნული შენიშვნის შესაბამისად შესწორებული სრულყოფილი სკრინინგის განცხადების წარმოდგენის შემდეგ.

გიორგი ხანიშვილი

მინისტრის პირველი მოადგილე

0159, საქართველო, თბილისი, მარშალ გელოვანის გამზ. №6. ტელ.: +(995 32) 2378013 / +(995 32) 2378044
www.mepa.gov.ge
6, Marshal Gelovani ave., Tbilisi 0159, Georgia, Phone.:+(995 32) 2378013 / +(995 32) 2378044